



ტურიზმის დარგში არსებული მდგომარეობა და ანალიზი

რეზიუმე

მერაბ დიასამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი
E-mail: m.diasamidze@gmail.com

ტურიზმს დღეისათვის მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით იძლევა მნიშვნელოვან შემოსავალს ქვეყნისათვის, არამედ, იმავდროულად, დამატებით კიდევ არა ერთ დადებით შედეგს განაპირობებს, მათ შორის ინფრასტრუქტურულ განვითარებას, ტურიზმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ბიზნესის სხვადასხვა სფეროების განვითარებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას, ქვეყნისათვის დამახასიათებელი და მისი წარმოჩენისათვის სასარგებლო ადგილობრივი კულტურული ისტორიული ტრადიციებისა და სახალხო რეწვის შენარჩუნებასა და განვითარებას, არაფორმალური და ფორმალური კავშირების ჩამოყალიბებას სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, რაც თავის მხრივ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას საერთაშორისო არენაზე და მეგობრული, კეთილგანწყობილი მხარდაჭერების რიცხვის პროგრესულმატებას აძლიერებს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების საერთო ეკონომიკური მიზანი არის ტურიზმის სექტორიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ტურისტების რიცხოვნობისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდით.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ბაზარი, ეკონომიკა, კვლევა

შესავალი

ტურიზმი ქვეყნის იმიჯია და მისი განვითარება შეუძლებელია ფაქტორების მთელი სისტემის გათვალისწინებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის გარეშე. ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის საჭიროა განვითარებული ენერგეტიკა, საავტომობილო გზები და მაღალი სტანდარტების სატრანსპორტო საშუალებები, მოწესრიგებული საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა, საზოგადოებრივი წეს-

რიგი და ქვეყნის შიგნით დემოკრატიული, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობისა და მომსახურების სფეროს განვითარება, კულტურის, ხალხური რეწვისა და სასუვენირო წარმოების მაღალი დონე, კვალიფიციური კადრები და მათი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება და უცხოელი სტუმრებისათვის კეთილმოსურნე გარემოს შექმნა.


ტურიზმს, როგორც მომსახურების სფეროს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და საქართველო ამ მხრივ გამოწვევის არ წარმოადგენს. საქართველოში ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, მოსახლეობას მოუტანს დამატებით სავალუტო შემოსავლებს, შეამცირებს უმუშევრობის დონეს და ხელს შეუწყობს ქართული ტრადიციებისა და ისტორიულ - კულტურულ ფასეულობათა პოპულარიზაციას.

ტურიზმი საქართველოში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებული და ეს შემთხვევითი არ არის, საფუძველი დარგის უაღრესად დიდი ექსპორტ-ტევადობაა. საქართველოს ბაზარი მოცულობით მცირეა და შესაბამისად წარმოების მაღალი ტემპებით განვითარებისათვის შიდა ბაზარი ნაკლებტევადია. გარე ბაზარი კი საქართველოს სამრეწველო პროდუქციისათვის, რბილად რომ ვთქვათ, ჯერჯერობით ძნელად ასათვისებელია. ამიტომ, შიდა ბაზრის გაფართოება და ექსპორტი ერთ-ერთი პირველი რიგის მაკროეკონომიკური პრობლემაა. ტურიზმი, სხვა დარგებთან შედარებით, ამ პრობლემის გადაჭრის მაღალი დონით გამოირჩევა, რადგან ექსპორტიც და იმპორტიც უშუალოდ შიდა ბაზრის გაფართოებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკაში ტურიზმისა და კურორტების დარგის რეალური ადგილისა და როლის განსაზღვრა.

რეგიონში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების საერთო ეკონომიკური მიზანი არის



შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან
(1000 აშშ დოლარი)



ტურიზმის სექტორიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ტურისტების რიცხოვნობისა და მათ მიერ (3) (დიაგრამა 1).

ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ექსტრემალური, არასასურველი პირობები პირდაპირ აისახება იმ სფეროში, რომელიც ადამიანების გაჯანსაღებას, დასვენებას, რეკრეაციას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ტურისტულ ქვეყანაში უნდა არსებობდეს მცირე გარანტია მაინც იმისა, რომ ამ სფეროს განვითარებას არ შეეშლება ხელი ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობებით, რომლებიც მრავალგვარი, არაპროგნოზირებადი და სახიფათოა. ეს იქნება რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება, ტერაქტები, ბუნებრივი სტიქიური მოვლენები თუ ეკოლოგიური პრობლემები და სხვა.

ზემოსხენებული უარყოფითი ფაქტორები მნიშვნელოვნად აფერხებს ტურისტების სტიმულირებას, მათ რაოდენობასა და გადაადგილებას, რაც უდიდესი ზარალია ქვეყნის ტურინდუსტრიისა და ამასთან ეკონომიკისთვისაც. ტურისტთა უსაფრთხოების დაცვა აღნიშნული სფეროს მომავალი განვითარების პირველი ფაქტორია. www.nplg.gov.ge

ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 2013 წლის ჯამური მონაცემებით 5,392,303 შეადგინა, რაც 22%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (4,428,221), ხოლო 2014 წლის ჯამური მონაცე-

მებით ეს მაჩვენებელი შემცირდა და 5515559 შეადგინა, რაც 2%-ით აღემატება 2013 წლის მაჩვენებელს. 2015 წლის 3 თვის მონაცემებით კი საქართველოს 986 366 საერთაშორისო მოგზაური ეწვია (დიაგრამა 2).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს მისიაა:


- გაზარდოს საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის ცნობადობა საერთაშორისო ბაზარზე;
- უზრუნველყოს ქვეყანაში როგორც შემოყვანის, ისე შიდა ტურიზმის განვითარების სტიმულირება;
- ხელი შეუწყოს ტურიზმის ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას;
- გაზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოს უსაფრთხო ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაცია და ძლიერი ბრენდის ჩამოყალიბება.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბოლო დროინდელი კვლევის თანახმად, საქართველოში ტურიზმის სფერო სწრაფი ტემპით ვითარდება. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ტურიზმის სექტორის ზრდის მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელმა მსოფლიო ტურიზმის ზრდის მაჩვენებელსაც კი გაუსწრო.

როგორც აღმოჩნდა, საქართველოს ყველაზე ხშირად მეზობელი ქვეყნებიდან სტუმრობენ. მათი რაოდენობა საერთო ჯამში ტურისტების 86% შეადგენს. შემდეგ მოდის ევროპა 9.6%, აზია 3%,



საერთაშორისო მოგზაურები (რაოდენობა) - 2015 (3 თვე)



წყარო: შინაგან საქმეთა სამინისტრო

ამერიკა 1%, მათ მოსდევთ მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები. ჩატარებული კვლევის თანახმად, ყველაზე მეტი ტურისტი თბილისსა და ბათუმს სტუმრობს. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს,

პირველი კვარტლის მონაცემებით ევროპელი მოგზაურების რიცხვა - 31 953 შეადგინა, მათი წილი პირველი კვარტლის მთლიან რაოდენობაში 3%-ია (ცხრილი 1).

ცხრილი 1

პირველი 15 ქვეყანა მოგზაურთა რაოდენობის მიხედვით (I კვარტალი)

ქვეყანა	2014 (I კვარტალი)	2015 (I კვარტალი)	ცვლილება %
აზერბაიჯანი	267 043	283 504	6
თურქეთი	290 182	261 756	- 10
სომხეთი	225 507	228 305	1
რუსეთი	128 928	123 109	- 5
უკრაინა	26 989	23 608	- 13
გერმანია	3 725	6 101	64
ყაზახეთი	3 851	4 953	29
აშშ	4 439	4 731	7
პოლონეთი	4 597	3 188	- 31
ირანი	11 663	3 018	- 74
გაერთიანებული სამეფო	2 431	2 778	14
ბელარუსი	1 913	2 662	39
საბერძნეთი	2 979	2 526	- 15
ისრაელი	2 461	2 517	2
ლიტვა	971	2 294	136

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია



დასკვნა

ტურიზმის, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგების, პრიორიტეტად გამოცხადება მისი რეალური ეკონომიკური სურათის ცოდნის გარეშე არასწორია და, ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, შეუძლია საპირისპირო ეფექტის მოტანა. ტურიზმში სწორი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელია ეკონომიკური ანალიზის ჩატარება. ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების ანალიზი უადრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. იგი აფასებს ტურისტული საქმიანობის შენატანს რეგიონის, ქვეყნის ეკონომიკაში. ეკონომიკური ზემოქმედების ანალიზი, ასევე, აფასებს ეკონომიკურ სექტორებს შორის ურთიერთკავშირს და იძლევა შეფასებებს რიგი ქმედებებით განპირობებულ ცვლილებებზე ეკონომიკაში.

ტურიზმის განვითარება საჭიროებს მთელი რიგი ამოცანების გადაჭრას, რომელთა შორისაა საკანონმდებლო რეგულირება, პროგრამულ - მიზნობრივი განვითარება, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის შექმნა, სახელმწიფოს როლის განსაზღვრა, ტერიტორიებზე სხვადასხვა ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, დარგის განვითარების ფაქტორებზე მუდმივი მონიტორინგი, დაგვი მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ეფექტიური სახელმწიფო ღონისძიებების დანერგვა, დაფინანსება და რეალიზაცია, ადგილობრივი რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავთანდილ ოქროცვარიძე; მაგდა ვადაჭკორია; ლალი ოქროცვარიძე – ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი – თბილისი 2011. სახელმძღვანელო;
2. მამუკა გოგელია - ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში – I საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი 2010 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“;
3. სულიკო ყამარაული - მარკეტინგი - თბილისი 2002 წ. – გამომცემლობა „მეცნიერება“
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ად-

მინისტრაცია <http://gnta.ge/statistics/>

5. რუსუდან ქინკლაძე, ნინო აბესაძე - საქართველოს ტურიზმის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები - V საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, ბათუმი 2014 წ. გამომცემლობა „უნივერსალი“;
6. <http://online.tsu.edu.ge/ge/science/10284/?p=6>
7. http://bsu.edu.ge/text_files/ge_file_3292_1.pdf
8. <http://newscafe.ge/index.php/geo/2012-09-21-07-36-49/1195-turizmisaqartveloshi>
9. <http://www.economy.ge/ge/economic-sectors/tourism>

THE CURRENT CONDITIONS OF TOURISM AND ITS ANALYSIS

MERAB DIASAMIDZE

Assistant professor of Batumi Shota Rustaveli State University

E-mail: m.diasamidze@gmail.com

Summary

Nowadays tourism becomes more and more important worldwide due its direct effects on the country's income. It also has additional positive results as development of infrastructure and various business spheres related to tourism, increased indicators of employment; preservation and development of authentic and characteristic traditions and crafting skills, building both formal and informal relations with foreign countries leading to investments, improvement of the country's image and reputation on the international level and advancement of the supportive partners.

The economic goal of tourism development in Georgia is the growth of income that will influence the welfare of the population by means of their employment and profit. This goal is achievable in case of increased number of tourists and their expenditure on the territory of Georgia.